

N 523

იუბილე

ცისკარი.

1871 წ.

მიუსი

წელიწადი მეთხუთმეტე

წოდება თხულებათა:

- I.—გუგის ბუტლი და ახალი მდგრადარეობა. (მო-
თხოვთ.) იოსებ ელიოზოვისა.
- II.—საუკედური. (ლექსი.) კოსტანტინე ბერძენოვისა.
- III.—ჭ. ღვევრიანი. კოსტანტინე კოლუბანსკისა.
- IV.—ასანა ლეპის თავს გადასავალი.

ტფილისს.

მარტინუშიანის ტიპოგრაფიაში.

ბუბის მუცელი და ანთლა
მდგომარეობა.

თავი 1.

ქუცუანაზე ერთი საუკეთესო ქალაქთაგანი, შემო-
ზღუდული პატარა მთებით, კარგის ჟარით, ცხელის
წელებით და უოვლითავე მშეცნიერის მდებარეობით გან-
შეცნებული არის თვილისი, რომელზე მემატიანენი მო-
ვათხოვთ რომ, საქართულოს მეფის ვახტანგ გორგ-
ასლანისავან ადშენებულა, მერქე სატახტო ქალაქად
ქმნილა და მას აქეთ ათას სუთასის წლის განმავლო-
ბაში თვილისი სან თავ-მოწონებით ადგვავებულა, გან-
მრავლებულა, განდიდებულა და მას შინა მსხდომარეთ
მეფეთა, უბრძანებიათ გარემო მთავართა და მრავალთა
თემთათვს, სან ბუნებითის კაცობრიობის მდელვარები-
სავან დამდაბლებულთათვს უბრძანებიათ გარემო რომე-
ლთამე უძლიერთა მტერთა.

ამ ქალაქს თვითლისსა ჩრდილოეთით მომდინარე
მტკურარი განვლის სამხრეთის კერძოდ დაჭეოფს თვი-
ლისსა ორად, ასე რომ, დასავლეთიდამ მთაწმინდისა,
სოლოლაკისა, წავლისისა და ხარუუხის; მთების წამოწო-
ლილის ცხვირებისა და მტკვრის შეა დაშენებულია ასე
გათქმათ ჩაჭედილი შენობა, გამოღმა რომელ არს, მტ-
კვრისა აღმოსავლეთით კუკია, ჩუღურეთი, ავლაბარი და
ნათლუხი, და რიცხვე ესე მხარენი მტკვრის ზედ ნაპი-
რის კიდეებზედ მიხურულნი და შენობაზედ გადაკიდე-
ბულნი.

აღმოსავლეთის მხარე ავლაბარი, იუო მხოლოდ
აღმენებული და სამს უბნად მცხოვრებნი, შემდგომ აღა-
მადან-ხანის თვითლისში შემოსვლისა ივიცა იუო დან-
გრეულ, დანამთენნი ავლაბარისა, გარემო ალაგები და
თლუხი, კუკია, ჩუღურეთი და დაცემულნი დიდ-უბის და
მტკვრის პირის მრთლად ალაგები იუო უშენი უწინა-
რეს და როგორც მშიერთა მკელთა საშორისათვის, კა-
რეთ მაწანწალა ლექთაგან იუგნენ მარადის მოუსვენებულ
და ბინა მოუკიდებულ ამა ალაგებში ხალხნი.

ავლაბარის გარემო ალაგები და აგრეთვე ნათლუხი
სახემწიფო გაზარმებით ქვემო ნათლუხი, სხუა და სხუა
ალაგებიდამ შეკრებილნი განმრავლდნენ 1820 და 1825
წელს აქეთ, კუკია 1799 წლიდამ, რომელს კუკიაზე ვა-
ჰირებ მოთხრობასა ჩემისა განვრმობასა.

ზემოხსენებულ დიდ-უბები იუო და არს ეკკლესია
წმინდის ღუთის მშობლისა, იქ იდგნენ მხოლოდ ცხრანი

კომლნი ქართული ლიტერატური, იორდანა შვილი, ქიტუა შვილი, ბობოქა შვილი, შეაქრის შვილი, დოჩანა შვილი, სახა-შვილი და სხეული, რომლისა ეკლესიის გვერდით ეხლა არის ვამართული ცხენის ღოღისძიებები.

ეს დიდ-უბის ძლიერი სხეული და სხეული ჯარების სათა-მაშოდ, საწყორთელ სავარჯიშოდ ჰქონდათ ბულლობრივი მეფეთაცა, უმეტეს დოოსა საქართულოს უვაკილო-ვანს მდგომარეობისას, ოდესაც ქალაქი თვითლისი მო-იღერებდა ამხარტავანებით თავსა, სიმდიდრითა, სიკრცი-თა და ერისა სიმრავლითა, რომელსა მინა მეფობდა უოფლად ამაღლებული დიდებული მუფა თბმარ, რომე-ლმა აღამენა ეკლესია ესე და იქორწინაცა მას მინა თავის მეორეს ქმარს დავით სოსლანზე.

ეს დიდ-უბის ეკლესია არს ხუთ ვერს სიმორეზე ქალაქისაგან ავლაბრის ხიდის გზათ, ემა ხუთს ვერს ვაკე ალაგებში და იმას იქით მდებარე გუკი რომელიც ეხლა არის თითქმის უჩინებულესი თვითლისის სხეულთა ალაგებთა ზედან, მაშინ იუთ ცარიელი უმენად. 1799-ს წელსა, უკანასკნელმა საქართულოს მეფე გიორგიმ, თვითლისის უწევდის სოფლის წინწეაროდგან გარდმოა-სახლნა შვიდნი კომლნი სომეხნი: ზალია შვილი, ჭო-ნა შვილი, გაბოევი, ბასინოვი, ბატა შვილი, კორნოზა შვილი და დედუქა შვილი და დასახლდა კუკიას, სადაცა მეუღლემან მისმან დედოფალმან მარიამმან, მტრის მი-მისა გამო სიმაგრისათვის აღუშენა მათ პატარა ქვისა და ტალასის ციხე და გარე შომოუვლო ზღუდეთ ღრმა

տերութակ, իմա մցեացրեած յիշածատ յշնցա, ռոմլուս ցամա ջայրիյա և յայլո յայգա (յշնցա.)

Եյմո եւ յայնեածունո ջոջ-յոյմո և յայդարտան մցեացրեածո յարտյալնուց 1800 ք 1805 թյա յարձականացնեն յայգաս մյարյ յանաց սամերյուտուս մեարյս.

Ամ յայգաս ջոջ-յոյմո ք յայրմայլս մայզրուս նորուս ալապյուս յիշածատ յամեամարտ յայրսա, յաբուս եմորաց այտա երածա յոյմ-յոյմայտա և յայտ ք յայտ մայպյանտա, ամուս յամո յայգամո յասաելոյածունո տյամբա անորյածունեն օլյա և յայտայան յարձականացնաս, մաշրամ ըլուտունոյ յայտյաս ալապյուս յար մմազնյունո մտյածունեն օլյայ, յարնա ամլոյածատ մովուս մյամայուս յորսա և յարցըլուուսա ք նոսոյուս սամույրեամո օլյարյածունո և յայտնուտա. յարու, յույնու, մոռես, յուարու, օնքոյուրու, յատամու, յայլու, յունու, ըմյունու և յայտանու անուանու մայմարուս յալոյամուն, ապրյունոյ յամյածուտ յուժայունեն ուղարկուսմու յորուտ մայմիապունու նոյտյուս ք սանուուսա.

1819 թյա մտայրուսուս յանյարցյալյամուտ յարձականացնայլուս և յայտնուս յայտունու յայտասու յամլունու նյմյենցնու, ռոմյալնու յայտյայլս յայլս նախուաց, մատշանուս մարտյալունում ըամանայա 1, յայգաս. 2, ամ յայգամու յամ յար մոմույրուտ նյմու-յայտնու յայտունու յայտյալյալս յոյմ-յոյմոս, ռոմյալու օլյյու-

წოდების (ალექსანდროვსკი). ამ ორთავე დასახლებულთ
ნებენცო დასავლის შერით უჭირავთ მტკვრის პირი,
3, სოფელის სართისადას, 4, ასურეთის, 5, რატევანის დ
6 ელისაბედის-პოლის გუბერნიაში.

ამა გუკიას და დიდების დასახლებულთათვს გარემო
მცხოვრები ანბობდნენ, საბოალო ნებენცნი სასტიკს ჟა-
ვრს ვერ გაუძლებენო, მაგრამ ისინი უმეტეს ვანმრავ-
ლიდნენ.

პირველად რასაკურეველია იუგნენ უქონელნი გლა-
ხაკი, მაგრამ მაღვე მოიპოეს ქონება, ამა ნებენცოთა მი-
მოიხედეს, ნახეს გარემო მცხოვრები ქართულონი ხმა-
რობენ მველებურს ღვე-გმირულს, რვა ანუ ათ უღლიანს
გუთანსა და ესრეთსავე ურემსა, აგრეთვე მვირფასს მამუ-
ლუბს კარგად არ უვლიან რომ შემოსავალი ჸქონდეთ,
ამისთვის არ მიხედეს იმათ მაგალითსა. იგინი განსხვა-
ვდნენ შრომითა და მოწეობილებითა, შეამზადეს ითხისა
ხან ექვსის ცხენით სახველი გუთანი, ნაცვლად ჩურ-
ნებურის დიდის სახნისისა, გაუკეთეს სახნისი სუბუქი
და ბასრი მიწის ღრმად და განივრად მომხვნელი.

რასაკურეველია სარფიანიცა ასე რომ, ამას უნდება
ერთი გუთნის-დედა, ცხენების რიცხვე მოხმარებისათვს
ერთი კაცი ანუ ორი პატარა ბიჭი. დღეში სხამს ჩურ-
ნებურის დღე-ნახევრის ოდენსა და ნაცვლად ურმისა ვი-
ნა ერთ ცხენ შებმულის პოფოსკისა, შეუდგინეს ფურგუ-
ნი, ზიდავს ორმოც და ათიდამ ას თომოც ფუთამდინ.
ამაში აბიან ორიდამ ოთხ ცხენამდინ, ესეცა მსწრაფლი

მიმომსვლელი, თითქმის უტრელა ნემუნცხა აქტეს სახლში შველა იარაღი: ცული, წალდი, დანები, ხერხი, ხელეჩო, ქლიბი, ფარგალი, ჩაქეჩი, არშინი, საჟენი, კალატოზის სახომი ქაფჩა და სხეული. უბრალო პაჩინგას უოველსავე სახმარის თითონ გააკეთებენ და არა რას დახარჯვენ.

აგრეთვე შეუდგნენ კაცნი და ქალნი სამაგალითო შრომას, ამ ორთა კუკიისა და ალექსანდროვსკის სოფლის მცხოვრებთა მტკვრიდამ იღმართხე მაშინით ამოიუგანეს წეალი და გამოატარეს ალექსანდროვსკისა და კუკიის მცხოვრებლების შეა, სასმელად, სარწეავად; შეაძეს მშეცნივრად ვენახები სხეული და სხეული ალაგებიდამ მოტანილის საუკეთესო გაზითა და სხეილითა.

ამ ნემენცების გონიერულმა შრომამ გამოსცა მსუქანი ნაუოვი, პური, ქერი, კარტოფილი, კომბოსტო, ბალახი, თვეა, ხილი, უურძენი, ძროხების რძისაგან შედგენილი უტრელი, ერბო, კარაქი და რე, აძლევდათ დიდსა სარგებლობასა, თოვალისის, სართისჭალას, ასურეთს, რატევას, არ არის კარგი დვინის ალაგები, შაგრამ, იმათ მოიპოეს ისეთი კელოვნება რომ, ისინი ჰეიდიან უოველთვის კარგად დაუენებულ დვინოს კარგ ფასად.

ამა უოველთა კალონისტებმა, დიდი სნიდვან აქამომდე ნება რთვითა მთავრობისათა, გაიმართეს მამასახლისობა მათვანეე აღრჩეული, რომელი ვანაგებს უოველსავე თავიანთ შორის მომხდარს სადაო საქმესა, შემთხვევაში თუ გარეშე პირმა არ გამოითხოვა ჩუტენს.

სამმართებლოში დავაზე, ან დიდი საქმე არ არის ასე რომ, თუთ მოსამართლეთ ვერ შეიძლონ გადაწევეტა, აკრეთვე მოდავე და მოპასუხენი დიდი მოჯიბრენი თუ არ არიან არ გადიტანენ არას დროს ჩეცს სამმართველოში საჩივარსა, აღსდებიან ურთი-ერთში მშვიდობით დამმზავებელნი, ბევრსაც დააომობინებენ შევიდობით მორიცებისათვეს.

თავიანთის მამასახლისისა მალიან ეშინიანთ და არიანცა საშიშარნი ავის მომქმედთათვეს; კარგათ იციან თავიანთის მეზობლის სიმართლეცა და სიპლუტეცა, იგინი ჰქევნიან მალზე ზარმაცხსა, ლოთსა, ცრუსა და ავის მოქმედსა; მათში დაცულია პატიოსნება და ერველ გვარი პირობა.

ენა და სარწმუნოება უჭირავთ მაგრა, ღღესასწაულში ყვლესიას მნელად დააკლდებიან, ახალ მოსწავლეს არ წააკითხებენ ისეთს წიგნსა, რომელსაც ვერ გაიგონებს ანუ ვერ ახსნის მოსწავლე, ემაწვილს არ აზიარებენ ვიდრე წლოვანი არ შეიქნება და ღეს რიცხვი შეუსრულდება, მაშინ მოამზადებენ ზიარებისათვეს სუფთა ტანისამოსში, პატარა ქალებს სულ ახალის ფერადოვნის და უვაკილებით შემკულს ტანისამოსში აზიარებენ და იდეს იღღესასწაულებენ.

ცის მიზანი მა ქვემ დგინდეთ 3. ცტელი ინიციატივისთვის
მიმღება მის მიზანის მის მიზანისთვის თუ ნორ

ერველთა უკეთესად გუკის ნემენცნი გონიერულის
შენეობით განსხვავდნენ, ერველთა ზედა, რადგან ადვი-
ლად ასაღებდნენ თავიანსას ნაუოფს ქალაქის სიახლო-
ვისა გამო.

იმათნი კაცნი დ ქალნი არიან უმეტეს ქერა თმიანნი დ
ხორბლის ფერნი, იცმენ მუშა კაცნი მაღალი იაფეს დ
სართვიანს საცმელსა, სუფოას შეზაფებულსა, პერანგზე
იაფი ფასის კილეტი, მოკლე სერთუკი, უბრალო უელ-
სახვევი, ფურაშება, ვიწრო შალფარი დ მაგარი წაღები,
როგორც ჩარხი მოუწევეტლად დღე-ღამეზე წართვით
მუშაკი, იმათი მუშა დედაქაცი აგრეთვე მაგარის ჩაქაუ-
ლა ანუ სხვებრ ჭრელი უნაოჭო მოკლე სახლებიანი
კაბითა, ჩებჩიკითა ანუ სხვა რამეთი სუბუქათ თავ მო-
ხვეული თავისგანვე მოქსოვილის მაგარის ჩულქებით დ
მაგარისავე იაფი ფასის ბაშმაკებით. მუშაკობს პატიოს-
ნად მარად დღე დ ღამე.—

ბრძნი სოლომან იტევის «დედაქაცი კუთილ-გონი-
ერი კუირკვინი არს ქმრისა თვისისა» ჟემბარიტად ეს-
რეთნი დედანი სანატრელნი არიან, სარწმუნო მეგობა-
რნი, სიუსარულის საიდუმლოებით შეკრულნი თვისთა მე-
უღლეთათანა, ჭირში დ ლხინში ურთი ერთისა თანა
ზიარნი, მტირთეტლნი მმიმე უღლისა, შვილთა აღზრდა,
სახლის წესიერად მოვლა, პურისა დ საჭმლის შემზა-
ღება, ხენაში, მკაში, გენასში, მუშაკობაზე შელის შეწ-

ეობა დ ეოველსავე ზედა გონიერად ქცევა.

მოგაჭრენი იტევიან: გაცი გარედამ ეზიდება ქონებას, შინ ქალის საქმეაო, როგორც მაღაზიისა გინა დუქნისა დახლიდარი თუ არ არის ფრთხილი, მხნე, გონიერი, რა გინდ რა გარედამ უზიდონ, დახლიდარი განაბნევს დ გააკოტრებს, რომლისა მაგალითი ხმირია. გაცი თითქმის სახლისა სტუმარია, განთიადზე გასული ძორს თუ ახლო იღვწის, მოვა შინა ჭამას დ მიღს ვერცეპი ისრულებს, გარბის საქმეზე, სადაც გართულობ სულით დ გულით შეძინებისათვის, ამ სახით შინ ეოველივე რწმუნებული აქტეს ქალის, თუ იგი გონიერის მხნეობით თვალ-ურს არ ადგვნებს, არ უაღერსებს ეოველ გვარს ქონებას, ბარაქა დ საფუძველი არ დაედგა, რადგან ეოველივე სახმარი ხდება, ლპება, ისრწნება დ მიწასთან ერთდება, ესრეთუც ოჯახი ძირის ეცემა, ინგრევა და გალის ქეცშ ისრება, მაძა-სადამე, რა ისილვება ხსენებულის ნემენცების განმშტნებული, განმდიდრებული ცხოვრება, მაშინვე მტკიცდება რომ, იმათნი დედანი არიან მიზეზნი დ ღირსინიცა დიდებისა.

ამ ქუკიისა დ ალექსანდროვსკის კალონიების ნემენცთა, გაამრავლეს მწუცლელნი დ რძისაგან შეადგინეს სხუა დ სხუა თეთრეული დ უმეტეს კარაქი დ რძე. ისუიდებოდა ძალზე თვილისის მცხოვრებთა ზედა კარაქი ჰქონდათ საუკეთესო სანოვაგედ მიღებული.

ამ კარაქისა, რძისა დ სხუა თეთრეულო სასუიდლად არა ჰქონდათ ნემენცოა ალავი საუგაჭრო დანიმნული,

(*) თუთ ნემენცების დედაქაცებისაგან მიიტანებოდა მისასეიდგათ, ასე რომ, თითქმის ჩეტულებათ დასდევს შეოლოდ დედაქაცი მიუტანდა მსუიდველს სახლში და ამ სახით ნემენცების სოფლებიდგან გამოვიდოდნენ ბებერნი და უმაწვილნი, ნერგის მანუელით დაწნულის გიდელითა, რომელში ჩალაგებულ იუო კარაქი და სხუა თეთრეული. თავზე დადგმულნი წამოვიდნენ ნაწევეტ ნაწევეტად, ალექსანდროვსკისა და კუკის სოფლებიდამ, მოულიდნენ ავლაბრის სიდიდამ, ერთი ექვსისა და მეორე სამი ვერსის სიმორეზედ, შევიდოდნენ, რა გაიფანტებოდნენ ქალაქის ქუჩებში თავ-თავიანთ მცნობს მუშტრებში ასე რომ, დილით უჟრელას მიესწროთ, რძე, კარაქი ჩაისთვა.

ისეთი ქახა, ისეთი სახლი მნელად იუო, რომელში ნემენცის დედაქაცი არ დადიოდა, იგინიცა რა რომ ხედავდნენ ამ თეთრეულითვან მოდიოდა ბლომათ ფულები, უშეტეს განამრავლებდნენ უოველ გვართა მწველელთა და დედაქაცნი მათნი, სხუათა საქმეთა შორის ამის წეტლას, კეობას და სუიდუას შეეჩივნენ დაიწვრონენ, რომელთა შორის მომსდარს შემთხვევას ერთს ნემენ-

(*) რომლისამე კამანიამ შეეიცარიის ნიმუშე ჩინებულად შედგენილმა 1865 წელსა, კარაქმა და სხუა და სხუა გვარმა უველმა დაასუსტა კარაქისა და სხუა თეთრეულის ვაჭრობა ნემენცებისა და ეს შეეიცარიის მაღაზია არს, თვილიის თავადის მამუკა ორბელიანის სახლებში, კოლოვინის პროსპექტზე.

ცის მშეტნიერ ქალზე ვიწევე. (ამ ამბავს მცირე ხანს აქ დავასვენებ.)

4.

ზემოხსენებულის ერთ ერთის კალონიდიდამ მველ ღრის ორნი გამოდიოდნენ რძე-კარაქითა, პირველი ქარივი მ..ნა, ქერა სახისა და თმისა, კარგად ჩასხმული და ბრაზიანი დედაკაცი, მიმეოლი უოვლისავე მკითხაობა-წამლობისა და მეორე ლ...და უმაწვილი ქალი, ოდენ 16-ს წლისა, იმისი წაბლის ფერი თმა ამვენებდნენ მალ-ზე თეთრ წითელსა სახესა და შავ თვალ-წარბთა მისთა, შეათანა ტანისა და როგორც მჭირფასი მარგალიტი სა-დაფში, ეკრეთ დამალულ იუო უფრო განვებ დაბალს საცმელში, ეცვა მას სასტინკის გრძელი კაბა, უბრალო შალით შებლი და წარბები ჰქონდა მოხუცული, იქიდამ გულზე გადახვეული და სარტყელში როგორმე გამაგრე-ბული, უბრალო გრძელი მაუდის წამოსასხამში დამ-ლული, ერთი სიტყვით ეს უებრო მშეტნება შეპარულ-იუო იმოდენა ხანს იმდენს სიმრავლეში რომ, ვერავინ შეამჩნია, კაცის თუალი ვერ მოხვდა მის მშეტნიერებასა.

კარაქისა და რმის ტარებისაგან, ამ ქალის დედა ლ...ტა დასწეულდა, მამა ვერ ატარებდა გასასუიდავათ. მათმი ჩუცულება არ იუო კაცისაგან და საქმეებიც ბევ-რი ჰქონდა, მსოლოდ ეს ერთი ოდენ ქალი ჰქვანდათ.

მეტი ღონე არ იყო, უნდა ამ ქალს ეტარებინა, ამ ქალისაგანაც ცუდს შემთხვევას ფიქრათაც ვერ წარმოიდგენდნენ, რადგან თანა მოგზაურსა მისსა, მოხსენებულს მამიდასა ამა ქალისასა დედ მამისაგან დავედრებული იყო, რათა მგზავრობაში და უოველს ღონს არ განმორებოდნენ ერთმანეთსა.

ფიცით დარწმუნებულ-იუპნენ მ.საგან დედ მამა რომ, თთონ ფრთიან ეშმაგსაც კუდს მოსჭრის, არამცოუ მისგან ვინმე რამ ისარგებლოს, მასთანვე მი....ნამ თავის კუდიანობით მოიგონა ისეთი ღონის ძიება რომ, ლაშ ლ..დას წაუსვა რაღაც შემზადებული წამალი პირის სილამაზის დასამალავი ასე რომ, ამ წამლის ძალით უჩამდა მსოლოდ ლოუები და ცხვირი ჭორვლიანი და აქა იქა შავებ დაცემულნი, უკეთუ კაცი სიახლოვით არ დააკვირდებოდა ვერა სცნობდა, ან კი ვინ მიაქცევდა უურად ღებასა სასით და საცმლით განგებ დამახინ-კებულსა.

კაცი მაშინვე გაიბრუნებს უკან პირსა რა იმის თუალსა უსიამოვნო რამ მოხვდება, თუ რამ ქალის სილამაზე, ესე იგი; გარეგანი მორთულობა, ან სასიამოვნო რამ ნახა, მაშინვე დააკვირდება, რა საკურველია გარეგანის მორთულობითაც ბევრი სცდებიან და ზოგიერთთა მდიდრულის მცმელთათვს ისრეა მოსახდენათ, როგორც უბრალო ცხენს თქმოს იარაღი.

ხსენებული მ...ნა ამ ღონის ძიებით ქალისაგან ასარ შიშობდა, განაგრძობდნენ თავიანთს მგზავრობას,

ქალაქში შესულნი, მ.. სხუას ქუჩას და ის სხუას შეუხვევდნენ, რა რომ, ვაჰეიდდნენ, ბოლოს მათვან დანიშნულს აღაცს შეირებოდნენ და წამოვიდოდნენ ერთად ულებითა. ამ კვარი ვაჭრობა განცრმელდა რამდენიც წლოვანებაში შედიოდა, იმდენი თან და თან იმსებოდა და ემპზაგსებოდა ვაკიილს მთვარეს. აჟა კიდეც გადადგა 17 წელიწადში და იგი იქო უმანგო ჯერეთ, მსოფლიურ ბიწ აუდებელი.

ამისთანა მშეტნებასთან, ჰქონდა სამაგალითო ოკსება, თუმცა იქო მარდი და ენით მჭერი, მავრამ ძრიელ ეჭირა თავი თვისი, იქცეოდა მშვიდად და წენარად, თავისის მოსვლაში ანუ გისთანმე ლაპარაკში თავ მოხრით იმ გზაზე და იმ საგანზე თვალებ მიქცეული, თითქმის ნახევრად პირ დაფარებული, მნელად მიიხედავდა აქეთ იქით, გინა მაღლა, ფრთხილობდა თავისი მშეტნიერება არავის დაენახა, სრულიად არა ფიქრობდა თავის სილამაზეზე ანუ ბედზე რამ, მოსწონებოდა ვისმე წესისამებრ ზოგიერთთა ქალთა, რომელთა ძრიელა სურსთ გააკვირვონ თავიაანთის მშეტნიერებითა და მიიზიდონ თუალი და გული მაურებელთა. ქალის დაუკითხავა მამას და დედას დაენიშნათ კიდეც თავიანთ მეზობლის შვილზე და ამზადებდენცა მისთვის, რომელი სასიმო იმ დროს დაჲგვიანებოდა ქალაქს გარეთ წასულსა რომელსამე ფოდრათში, უკეთუ ლა..ას დედ მამა ან სხუა საქრმოზე სიტუაციას გაუტარებდნენ, იგი უკმაყოფილოდ მოკლედ უარს ეტეოდა და თითქმის ვერცენ გაუბედვ-

დნენ კარგად გახუმრებასა, რადგან ძლიერსა გამოთქმა-
სა მისსა ვერ უჰასუხებდნენ.

დედ მამას ჭყიცხავდნენ კიდეც რომ, იმისთანა ქაღ-
სა ჭყზავნის იმ ალაგებში, ხადაცა მრავალნი განსაც-
დელნი არიან, მაინც კი მიაწერდნენ ძლიერად ქალის
თავის დაცვას და იმის მამიდა მშვიდობით მიმოსულისა-
თვს, დედ მამათ ვერ გადასწევიტეს იმისთანა სარეც-
ლიანის დაწეობილობის მოშლა, დრონი მიჟიფრინამდა
და როგორც უზომო ფულის ანგარი, აკოცებდა მამა
ლა..ს და მიითვალავდა მისგან მოტანილს ფულსა.

ეს ნემენცი კ..სი იუო, მაღალი, გამხჭვალი, წვერი-
ანი, გაუზრდელი, მცირე წენაზე ცეცხლივით ანთება,
ხარბი, ძუნწი, ჭქონდა კარგი ვენასი, სახლი, ექშისი ცხე-
ნი, ოთხი ვარი, ოთხი მროსა, სამი მოჯამავირე, ამ
კარებს და ცხენებს ამუშავებდა ძლიერად, ხნამდა მიწებსა
ბლომად, ამუშავებდა პოვოსკებს, ჭურუუსსა, დღე და
მე იმისი ველი მუშაკობისაგან არ დასცხერებოდა, უო-
ველსავე ჰაჩინკას თითონ აკეთებდა, ეჭირა ველში ჩა-
ქუჩი, ხერხი, ხან სადგისი, ნემსი და ტრიალებდა ჩა-
ხივით საქმესე.

ამისი ცოლი ლ...ტა იუო, რიგიანი და ლამაზი
მანდილოსანი და მშეცნიერი ლ..და მათგან გამოსული
როგორც ვარდი ქალთაგან.

5.

დოოსა ამას, ქალაქს, რომელსამე ქუჩაში სცხოვრებდა შვილი აქაურის ღიდის მებატონისა, რომელსა ჰქონდა დაქირავებული ძირის ატაჟისა საუკეთესო სახლი, ამ უმაწვილს გურს შესრულების დოოს პეტრებურდში მისვლოდა წიგნი რომ, დედა იმისი ნახვის ნატრული ვარდაიცვალა და მამაცა აკრეთვე სულთ მობრძავი ელის იმის ნახვასა და სულის ამოსვლას, ამისთვის მოისწოდა მოსვლა.

შეწუხებული საჩქაროდ მოვიდა შინა, დახვდა მამაცა მკურნალი და როგორც ერთს ოდენ მემკვიდრეს უოვლის იმის დამთენილის ქონებისას, მამულების მოვლას და იმის ვარემო მოდავებს ძალიან შეწუხებინა. ორს წლამდინ, ზოგიერთი საქმენი სისრულეში მოეუვანა, მერმე დაუკენებინა კარგი გამგებელი საკუთარს საუმო სოფელში და თუთ დაწერ სამსახური. მაღალს სამმართველოში ეპერა კარგი ადგილი.

ეს უმაწვილი ი...ე იუო სახითა, ტანადობითა მშეცნიერი, ჰქუიანი, სწავლული, მშვიდი, კეთილი, მოწეალე-წლისა ოდენ 26-სა. იყი ღილის მეცხრე საათზედ გამოვიდა ხალათით თავის კაბინეთისა და ზალის გვერდით ტახტებით კარგათ მორთულს ოთახში დაიძახა: ვარდისახარ?

ბატონ! უბასუსა ფახტზე მჯდომარეობა,

რომელი იქო უმეტეს 50-სა წლისა, ერთგული გამზრ-დელი მისი. სახითა შავირემანი, საქმაო სქელი, ღიღად მღვთის მოუვარე, ავის ენისა და საქმისაგან განშორებული და კეთილთათჯეს შზა.

უთხრა მებატონებმ, როგორა გვონია, ის ჩურცნი მცნობი ნემკა ამ დილით რძეს, კარაქს, არ მოიტანს?

შეჭელად. მოახსენა ვარდისახარმა, უოველს დილას მოდის ხოლმე. ვანა ეხლა რა დაეფეთება, რათ კითხულობთ შვილო, რძე ვინდა ჩაისთჯეს?

რასაკროველია! რძეც მინდა, მაგრამ უფრო კარაქი, ხვალ სტუმრები მევოლება.

ამ დროს შემოუო თავი და შემოვიდა ცნობილი ლადა გადაფარებულის კიდელათი. იანვრის ეინვას საბრალო, თითქმის გაეყინა, მტკვრის პირზე იმოდენა ვზა გამოვლილს გელები, ფეხები და ცხვირი სიცივისაგან დალურჯებოდა, მასთანვე თავი რომლითაც შეხურცული ჰქონდა მომლოდა, ეზოს კარის გამოშვერილს ლურს-მისთჯეს მოედო, მოხსადნა თავი, იმას მომლილი თმა და მოსახვევი სიცივეში გაციებულის გელებით ვერდა გაესწორებინა, ისე ჰქონდა მობორბლილი. იმან გიდელა ძირს დასდო რა, ორივე კელები პირთან მიიტანა, ვითამ თვითილის სულით კელების გასათბობად.

ი..ემ როგორდაც უნებლიერ უტაცა ორივე გაციებული კელები, დაუკირა, ვითამ თავის თვითილის კელებით გასათბობად.

წინა აღმდეგ, ნემჟა თუმცა სცდილობადა წასკლოდა

მავრამ, ი...ეს ძლიერს კილებს ვერცხი დაეძრა, მაშინ
ლ..დამ მაღ დატანებულმა აიღო თავი შეხედა და უთ-
ხრა: ბატონო გთხოვთ ვამიშვათ.

ლ..დას მაღლა ახერჯასთან, თავი უბრალოდ სულტუ-
ლი უკან კისერზე გადაეკიდა, მოეხადა თავსა და გადმო-
ეფინა თმა, მაშინ ი...ეს დაპკრებულ თეალთა მოხვდა
შავ თეალ წარბნი გულის გამგმერნი, შუბლი ბროლები
თეთრ საეტაკი, თმა წაბლის ფერი, მოელგარე, და სახე
რალაც წამალ სმული, რომელსა შეძროთალს ქსრეოის
ხილვისაგან თითქო ელვამ დაურბინა მარღვებში, გან-
შორებულმა სიჩუმით წარმოსთქშა: ღმერთო ჩემო! ამას
რას ვხედამ! ნეტარ რა ვიფიქრო! ნუ თუ ჩუტნება ესე
ძეცლთა წარმართთა რამე ჯადოსნობა იუს? ანუ ვე-
ნერა ღმერთა შშუცნიერებისა?

მოიცვა იგი განკვირვებამან, მერმე თითქო ძილი-
საგან გამოლვიძებულმა უოემობით ვეღარა გამოსთქშა რა,
შევიდა საჩქაროთ შინა უფრო ამიტომ გულის მჩელვა-
რება დაუენებინა, აგრეთვე ეფიქრებინა თუ რა სათღუ-
მლოება უნდა იუს ამ ქალშია! ანბობდა თავისთვის ვი-
ცი ქალები ისმენ სახეზე შშუცნების მოსამატებლად და
არა ასე დასამახინჯებლად შშუცნიერებისა, ეს საბრა-
ლო ნეტარ თუ რა მდგომარეობაშია! ამისი ცნობა
საჭიროა! მავრამ რა ვუნა! საიდამ, ვარდისასარ კარგია!
მავრამ ძეცლი ადამიანია, რომ უთხრა კიდეც გადირუა,
უნდა სხვებრ ვეცადო თუ არ ვსცდები უნდა იუს უ-
ბრო შშუცნიერი.

შემდგომ შვდის მინუტისა, ისევ გამოვიდა დამ-
შვდებულის სახით დ უთხრა: ვამდელო? თუ ცხონება
გინდა ევ ქალი გაციებულია ბუხართან გაათბე, ჩაი და-
ალევინე, მეც აქ თქმულობის ბუხართან დავლევ ჩაისა დ თან
ჩამოჯდა სკამზე ბუხართან ბირის ბირ
ნებკისა.

ლ..ს გული უღელავდა დ სცხენოდა თავის სახის
საიდუმლოების ცნობისათვის, თავ ჩაღუნული მინს იუ-
რებოდა.

თუმცა ბუნებითი ცნობის სურვილი ი...ეს იზიდავ-
და დ კულში ნელ-ნელა ეზრდებოდაცა სიევარული, მა-
გრამ კეთილ გონიერებითა თვისითა წარმოიდგენდა ამა
ქალის ვინაობასა, ბირ მიბრუნებული იტეოდა: რა ჩემი
საქმეა! რას ეგვანება! ფუ ემმაკო რას ჩამაცივდი?

ლ..ამ ჩვეულებრივ მოხვეულმა ამ შემთხუებას ეურად
დება არ მიაქცია დამთა ისევ თავის გულის უმანგოე-
ბაზედ, აგრეთვე ვარდისახარმაც საქმეში გართულმა ვე-
რა გაიკორა რაც მოხდა ვითამ უოველივე ჩულებრივ
მიღიოდა, ი..მ იუიდა რაც რმე დ კარაქი ჭერნდა და-
უთვალა მეტობით ფული, მასთანვე ი..ე გააკვირვა იმ-
ისმა მარჯვე პასუხებმა, რასაც კი ოდენ ჭყითხამდა, შე-
ძღვომ ჩაის დალევისა ქალი წავიდა დ ი..ცა გავიდა
საქმეზე.

მაგრამ იგანეს მდგომარეობა მრთლად შეიცემალა,
იუო დიდს ფიქრებსა დ წადილის ბრძოლაში სან დ
სან წარმოუდგებოდა ისრეთ სახილველად რომ, მოგო-

ნებაზედ შეთრთოლდებოდა და მრთელის სხეულით შეი-
რევეთდა ბოლოს მაინც კი მალ დატანებულმა გადაწყვი-
რა თავისის აზრით ეს უხამსი სურვილი აღმოვხვდას
თავის გულისაგან, განავდოს ოოგორც თავის მომხიბ-
ლავი ნემკა ეგება მაშინ მოისულის მაგრამ, უმეტესმა
სახილულმა გააკვირვა.

ვარდისახარის დიდად ცნობის მოსურნეს დიდის ცდით
დაებანა პირი ლა..დასთვის და გეღარ მოესწორო აღრინდელე-
ბო სახის დაფარება რაღაც წასასმელით, ამ დროს უცებ
მოესმა ხმა ძლიერის უკრილისა, ქალთა ქრიამული-
სა, ემახდნენ ვარდისახარის უშველე! ჩქარა! ემაწვილი
შენის დის წელის საბანამისა ჩავარდა ჭაშიაო! ამისი
გამკონებელი ვარდისახარ გაფარდა ისარივით, იქვე გვე-
რდით და ვიღრემდისინ ოც და ქქსი არმინის სიღრმის
ჭაში ჩავარდნილს ურმას ამოიუვანდნენ და მოასურიელე-
ბდნენ, მანამ ლა..და მოულოდნელად დარჩა მარტო მჯდო-
მარე ოთახში ელოდა ვარდისახარის.

დროსა ამას მოუფიქრებლივ, ი..ე შევიდა შინა უნ-
და განვლოს ვარდისახარის ოთახი და უცების მოხედ-
ვით ლა..ა შეკრთა დაიღო თავი მირსა.

ი..მაც გაოცებულმა წარსდგა ბიჭი წინა მიუახლო-
ვდა რა ქალი ტეუილად სცდილობდა არ ეჩურებინა
თავის სახის საიდუმლოება, მაგრამ ი....მ კიდეც შეა-
მნია თითქო დამნაშავეს სიცრეე და განცდადა გაფურ-
ჩვნილ ვარდისაებრ სიცურივე სახის მშეტნიერებისა მი-
სისა, აეცრისო მეტის მეტაო და მოხვია შეურვალი-

თა კოცნითა, მასთანეუ აღელვებულმა უთხრა ლ..და? შენ
როგორც ქურდი ეპარები ჩემს გულსა; მე ბევრს რასმე
უფიქრობ შენზე, დღე დ დამე მოსუტნება არა მაქტს,
ბოლოს სიუჟარული აგიუვანს უმაღლეს სარისხზე.

შემდგომ ხუთის მიწუტისა, ვარდისახარის შემოს-
ვლით განთავისუფლებულმა ქალმა ამოისუნთქა რა ჩა-
უნტდა ბუხრისა დ ტახტის წინ, მერმე ადგა მოიხვია
თავი მოიწმინდა ცრემლი დ წავიდა, მივიდა თუ არა
შინა დაწუა ქუცშაგებშია მოიგონა ავათ მეოუკბა, სა-
მს დღეს თეთრეული სულ წაუხდათ, მამამ შეწუხებულ-
მა მოიანგარიშა შემოსავალი ბევრი დააკლდებოდა თუ
ძროხების ეკანომიას მოძლიდა, ამის გამო დედ-მამა
ჩაცვდნენ დიდს მწუხარებასა, სხეულს ვერ ანდობდნენ
გაუიდვას, ამისთანა გარემოებაში არ იცოდნენ რა ექნათ.

ლ.. იუო დიდს ფიქრისა დ მოუკენებლობაში, ოხ-
რამდა ხშირად ერთს ადგილს ვერა დევბოდა დაწვებო-
და დ ადგებოდა, უთხრა დედამ: ვენაცვალე რასა იქ
შეილო? გინდა მოგაუვანინო ჩუტნი აქიმი რა გტკივა?

აბა! ბა! ბაა!! აქიმი არ მინდა! გაივლის თავის
თავათა მირჩება თხყი ჩემთვს ნუ ინაღვლი კარგათა
ვარ, რა ვქნა! ცოტა ხანს მევე შევიძლებ გაუიდვასა
რმისა დ კარაქისასა, ამასთანეუ ლ..ს გული იქმნა გა-
მოცვლილ დ სრულიად შერეულ, აქამომდე გაციებულ
დ ბუნების წინააღმდეგი ახლა შეიქმნა ქუცშებარე გუ-
ლის თქმისა დ მიმზიდველი მამა-კაცთადმი, მას აგონ-
დებოდა ი..ს უხუად ჭულები დ სიუჟარულიანი. გამოთქმა

რომელმა საუკარლად მოხტცულმა უთხრა დღე და ჩამე ჩემი ფიქრები შენა ხართ.

ამ სიტუაციის მოგონებაზე ნელ-ნელა შეეჩიდა სია-მოვნებასა, მერმე ასე გაუძრიელდა რომ, ვერდა შეიძლო შემაცრება თავისის გულის გრძნობისა, გული მისი უხი-ლავად იზიდებოდა სიუკარულის უფროულში მომავალს შემთხვევას ვერდა მოიფიქრებდა, თან და თან უცხო-გლდებოდა და სიუკარულის ტევე ხდებოდა, მას თითქო პილევაც უნდოდა გავგონა ისაგან იგივე ალერისიანი სიტევები მით დამტკბარ იუო.

შემდგომ ამისთანა კაურკვეველის ფიქრებისა მეო-თხე დღეს ჩუტულებისამებრ, კანემგზავრა, ცნობილ მა-მიდასთან ერთათ ქალაქისკნ, მოვლო ჩუტულებრივი მცნობნი, მიჰყიდა რძე და კარაქი, ვარდისახარმა რა სცნო ავათ მეოვობა მისი უთხრა მრავალი ალერისიანი ნუ-გემი.

ლ. განაგრძელებდა თუსსა დღითი დღე რა მსვ-ლელობას, ხმირად შეხვდებოდა ი..ეს თუალთა და ადგილ საცნობელ იუო რომ მირს მაურებელი იწევდა გუ-ლით დელტას, ხოლო ი.. ძალ დატანებული ითმენდა კიდევ და ჭყიქობდაცა როგორმე გულიდამ დავიწებასა, ცხადად წარმოიდგენდა რომ, იმის პატივს დასცემდა ეს საქმე, მაგრამ არა ეშველარა, მით რომ, იქ არის სი-უკარულის ძალი უსილავი დამსურობელი, აღარ ირჩევა ჭეთილ-შობილება გინა ბრწეინვალე გუამობა, აქ არის ლიტონი ანუ ზნეობითი პირი, ამ ზნეობითმა კაცმა

შეიტარობა ქალი ისეთი რომელიც სწორეთ და უმეტესადცა ქალის ღირსებით აღეტავებულია, გარჩევა აღარ არის ბოლოვდება მით რომ, გულში დაისადგურა ებრძოლა ამისთანა სურვილისა თვისისა განდევნასა, ცდითაც ეფადა ბევრი ითმინა მაგრამ არა გაეწყორა, ისევ ჩულულებრივს ბუნების კანონს დაემორჩილა და შეიქმნა ტევე ამ ქალის სიურარულისა განათლებული გუამი, შეილი ღვერისა.

6.

ი...ემ ვარდისახარ გაგზავნა სოფელში რომელიმე შინურის ეკონომიკისათვის დაშთა სვიმონა ლაქისა და პეტრია მზარეულის სინაბარ, დროსა ხსენებულის ლაპა მოსვლისას, ი...ემ უბრძანა სიმონას რომ, დღეს ავათ არის სამსახურში არ წავა გერცავის მიიღებს და ნემკარა მოვიდეს რე კარაქით კაბინეთში შემოიუტანოს.

ერთგულმა ლაქიამ აღასრულა ბრძანება თვისის ბატონისა, წარუდგინა ლაპა მსწრაფლ გაკვირვებულთა თუალთა მისთა.

ქალი რა შევიდა ვარდისახარის მაგიერ ი...ეს ხილვაზე შეკრთა და დაიწეო უკან წევა, მაგრამ ი...ემ და მსახურმა მისმა ძლიერს დაიმორჩილეს და კუალად სადაცა სთხოვდნენ დაკადომასა, იმის მაგიერ მირს ჩაუქნტდა, ი...ემ უბრძანა სვიმონას გაიტანოს რე და კარაქი მრთლად მიიღოს იმისი ფასი, ამის გაუიღვისთვის საათ სა-

ხევარს მოუნდება და რომ აღარ იაროს იმოდენა ხანს აქ დაისვენოს,

არა არა! ბატონო? მოახსენა ლამ, ჩემი მამიდა მამძებნის, რო ვერ მიპოვნის რას იტუვის? უთხრა ი..ემ მამიდა შენმა ოუ იცოდეს ჩემი გრძნობა, მაშინ იტუვის: თავის საუშარელთან შეექცევაო; ბებრებს სოფლის სურვილი რო დაქარგული აქტეთ ემაწვილებისა ეკავრებათ.

მოახსენა ლა..ამ გაბედვით: ბატონო ნება მიბომეთ მოგახსენოთ, ი..ემ მითხარი? ღულისათვეს, ჩქარა მითხარი? მე მზა ვარ დიდის სურვილით მოვისმენ?

მოახსენა ლა..ამ ჩემი შეზობლის ქალი შეიუშარა ერთმა ოქუცისავით დიდი კაცის შკლმა, შერთვის პირობა მიუცა, მერე ვაუს დედ-მამამ შეუტეს და ვაშვებინეს, საწეალი ქალი კინაღამ ჩააქვავეს, სირცესვილით ვეღარავის ეჩუცნა დაჭლექდა და მოგეძა. ის რომ მომავონდება შიშითა ვსდნები?

ი..ემ ამ სიტუაციით გაცხარებულმა, ვააშვებინა დედმამა შენა გვამს? მაგრამ.. კურ დასრულე?

ლა..ამ უოუმობით და მორცხობით მოახსენა: მე რომ არ შევიშინო ჩემის დედ-მამისა, არც ნათესავებისა და ჩვეულებისა, მე შემეშინდება ჩემის საწეალის გულისაგან, რომელიც დაცემულია ოქუცის წინა! ჩემი ბედნიერება და უბედურება რაღა გავაკრძელო ჩემი სიცოცხლეცა.

ამ სიტუაციით აღმრულმა ი..ემ უთხრა ლა..ან!. იცოდე რო მუქანდეს დედ-მამა, არა ვკითხამ, ნათესავნი

თუ მეგობარნი, გინა ჩეტულება ვერ დამაპრეკოლებენ ვე-
რა რას, ჩემის გულის სურვილს ვინც ეწინააღმდეგება
იმას აფათ მოვეპერობი, მე არ ვეძებ დიდ გუარიანს დ
შინითვიანს, არც შენს ვინაობას, მე გადავსწევიტე შენ
მამწონსარ, შენის მეტი არავინ მინდა! სამსახურშიაც
რომ არ ვიუო კარგი შემთხვევლიანი მამული მაქსე,
გვექნება უზრუნველი ცხოვრება შენი მომზადება ერვე-
ლივე მე ვიცი, ბოლო ჯუარის წერა იქნება, ამაზედ
რას იტევი? ლამ მირს მაუურებელმა დ გულით კმა-
კოფილმა, რაღა მოგახსენოთ მეც თანხმა ვიქნები.

უთხრა ი..ემ მალიან კარგი? იყავით მოსვენებით.
ქალი დარწმუნებული სისარულით სამსე წავიდა, რა და-
შთა მარტო, ი..ემ წამოიძახა ღმერთო ჩემო? რა უმან-
კოებაა! რა გულისაა! მავრამ რა ვქნა! როგორ მოვა-
გუარო? ან რა ვიფიქრო? ეს შშუტნიერი ქმნილება სა-
ვსე ჭკუითა დ ნიჭიერებითა გადავდებულია! ფასი არა
აქსე არც შშუტნება, ისე როგორც თავის ალაგს ალ-
მასსა? რომელსა აქსე მაშინ მხოლოდ ელვარება რო-
დესაც გაითლება გინა გაიწმინდება, კრეთუტ ამ ქალის
გონებას უნდა გათლა. ესე იგი, სწავლა რომ გამოს-
ცეს ალმასისაებრ ბრწყინვალება. ეჭ! რაც იქნება იქნება.
უნდა გამოვიუსანო ვინც რაც უნდათ სთქუან.

ი..ემ დააბეჭითა რა თავისი ფიქრი, გაემართა თა-
ვის მამიდა ქვრივს ელისაბედთან, რომელი შემდგომ
დედისა უევარდა, იგი ატარებდა ბრწყინვალეს ცხოვრე-
ბითა სასახლე ჭირდა დიდ შშუტნიერი ბაღჩა ხეივნი-

ანი, ორის მოახლისა და ორის მსახურის სინაბარ, უთხრა: მამიდავ, განსოფდესთ მარტოს თქუცის მოგახსენებით ჩემს სურვილს! მრიელ ნუ გაჲყირდებით, მე უნდა ვიქორწინო ერთს ნემენცის ქალზე რომლისათვისაც მოვხელვარ ამაზე რჩევისათვის.

მოუგო ელისაბედმა, რას მეებნებით? როგორ თუ ნემენცისა, უთუოთ მაღალის წოდებისა განათლებული, ან მდიდრისა იქნება, აბა მითხარ ვინ არის ან ფული რამდენი აქეს.

უთხრა ი..ემ: ეგენი არც ერთი არა აქეს, ტანისამოსიც მე უნდა შეუმზადო, რძესა ჰქიდის.

მოუგო ელისაბედმა, დღეს აპრილია შვილო? მოხუცებულს მამიდასთან სუმრობას ააირებ?

უთხრა ი..ემ, მე აქ სახუმრელს ვერასა ვხედამ მართალს მოგახსენებოთ.

ელისაბედმა გაოცებულმა, თუ არა სუმრობთ? მაშ როგორ ვითოქრო? იქნება იმ ასალი გადმოსული ნემენცებისაგან ვინმე იქოს?

უთხრა ი..ემ, ჰო ნემენცის ქალია ვნახე მრიელ მამეწონა.

მაშინ ელისაბედმა შეჲვირა, ეს რა გავიგონე! ეს რა შეურაცხებაა! რა საზიზღარი საქმეა! გაგონილა! თქმულა! მერძევე გონიო? ქუჩა ქუჩა მაწანწალა! ვარ ურებო? თუალებო? დადექით? გენაცუალეთ აქამდინ უვალანი მოგელოდით როგორც განათლებულის კაცისაგან სამაგალითოსა და სასარგებლოსა რასმე საქმესა,

ნაცვლად ამისა დასდგომისას უცუნერს და საკიცხავს საქმესა; გენაცუალოს მამიდა შვილო? მოდი გონისა შეაფეროსე ეშმაკსა; ამოიღე გულიდამ ეგ აზრი.

ი..ემ ქუდი აიტაცა და უთხრა: მამიდავ? მერმევა მაგრამ ამირჩევია საცოლედ. ამასთანავე ჩემი ვალი შევასრულე, ახლა რადგან ეწინააღმდეგები ჩემს სურვილს მეც აღარას გკითხამ მშვიდობით.

ელისაბედმა სტაცა ყელი მოაბრუნა, დაისუა გვერდით და უთხრა: მოიცა ნუ სჯავოობ კარგათ ვიჟიქოოთ.

უთხრა ი..ემ: საფიქრებელი აღარა მაქსრა? მე ვანიობ, საცოლე ვიშოვნე მშეტნერი, ჭკვიანი გონიერი.

მიუკო ელისაბედმა: შეილო მოიფიქრე შენი ოკანისა და შენის ღირსებისათვის როგორი სირცხვილია? რას იტევიან ნათესავნი და შეებარნი? ან რის მაქნისი იქნება, ოჯახში და საზოგადოებაში, უწურთვნელი უსწავლელი, დამიჯერე დაანებე თავი, გირჩევ შეირთო თუ პელაგია არ მოგწონს სხეუა არის უგეოესი, მოციქული კიდეც მოვიდა ჩემთან, დიდის თავადის ქალი დიდი მზითვიანი, შენვან ერთი სიტეუა თანხმობისა მაშინვე უოველივე მზათ იქნება.

მე ვაკითავე, უთხრა ი..ემ. იმის მეტი არავინ მინდა, ამასთანავე ვინ გითხრათ თუ არ მაღალის წოდებისა, კაცნი არც ქალნი არ ვარგანან, ეგ ტეუილია! პირადი ღირსება უმჯობესია გვარევნობასა; ერთი სიტევით ვისაც თვით ბუნება მიანიჭებს მაღალს სულსა და შეამკობს ერვლითვე ბრწყინვალე ღირსებითა ვამო-

ბრწყინვება წინაშე საზოგადოებისა? და აღვალსცა უზენაესსა ღიღებასა, მაშასადამე მე ვჭროვე ქალი შემკობილი, ღირსი ჩემის ცოლობისა, არ ვჰქითხულობ რა წოდებისაა, გაიგეთ თუ არა?

რა გქნა! შეიღო? უთხრა მამიდამ, შენი ნებაა! რაღა გესწავლება! აბა ახლა მითხარი რაში მოგეხმარო.

მიუგო ი..ემ, ახლა მცონია მიხვდი; მე უგუნურათ არ ვიქცევი, მე ასე მინდა, ექში თუ მაინცა იუს აქ თქუტნთან ტანისამოსი და უოველივე მოუმზადოთ მოუნინოთ ჩუტნი უჩიტელი ვასილ ივანიჩი ასწავლოს წერა კითხვა, აუხსნას რესული, ქართული, ნემენცური ლაპარაკი ხომ იცის და თქუტნცა რასაკურველია სახლოსნობისას ასწავლით მინამდისინ ჩემს საქმეებსაც მოვრჩები დავიწერ ვჟარსა.

მიუგო ელისაბედმა, ახა დმერთო ჩემთ? მანდაც გამოდის მოტაცება რას იტუვიან სალხნი? თუ არა და იმ ქალსა ეკოლება დედ-მამა სახლიც ექნებათ.

მე იმათ არ ვენდობი, რა ვიცი ბოლოს რა გამოვა, მეორეც ესა რომ, აქ ჩუტნი ნებაზე მოვამზადებთ ვასწავლით.

სად არის ეხლა? ჰქითხა ელისაბედმა.

დედ-მამის სახლშია, უთხრა ი..ემ, რძეს ატარებს, ხუალ მოვა თუ არა საღამოზე აქ დავბადებ.

გაგონილა! წამოიძახა ელისაბედმა, მაგრამ მე დამაფიწედა, ჰო! რა გაეწეობა ეგრე იუს.

ამასთანავე უთხრა ი..ემ: მე ეხლავე წავალ შოუ-

ლაპარაკებ ვასღლ იყანიჩთანა, მკერზალიც თავის დო-
ზე მოვა ტანისამოსზე მოვილაპარაკებთ ნახვამდინ შევი-
ღობით.

მეორეს ღღეს ჩურულებისამებრ მოვიდა ი..ეს სა-
ხლში ლ..და ჭ სადამოზედ წარუდგინა მამიდასა ჭ მა-
მიდამაც რა იხილა უბრალოს ტანისამოსში გახურული,
კინაღამ მწუხარებით გული შეუწედა ჭ მაინც კი და-
იკივლა გენაცვალეთ ამას რას ვხედამ! უნდოდა მეისვე
გაეგდო კარზე მაგრამ ი..ეს ხათრითა ჭ მორიდებისა
თავი შეიძმავრა ჯერ სანობით, მეორე რა კარგათ გას-
ჩირიკა დაწუობილობა სახისა ტანადობისა ფეროვნები-
თა ჭ სიცოცხლითა სამსე, მაშინ სიხარულით კინაღამ
გული ამოუარდა, ქალი დამორჩილებული ბანეს აბა-
ნოში; ჩააცვეს ქართურულთ ჩურულებისამებრ საუკეთესო
საცმელი ჭ უცებ გამოირწეინდა ქალი მზებრ განშუც-
ნებული.

ამისთანა ეოფით შეუმზადეს სამეოფი დაუდგინეს
მსახურნი ჭ დაუწეს წრთვნა, სწავლა სხეუა ჭ სხეუა სა-
გნებისა.

მამიდამა ამა ქალისამა მ..ამ, სამჯერ მისულმა სა-
ხლსა ი..სა იკითხა ჭ მსახურთა უთხრეს: ლ..ა დი-
ლას იუო ჭ წავიდაო, გაბრუნებული მივიდა შინა იკი-

თხა თუ არა მაშინვე ღერამ და სხეულა დაიძახეს: ვაი უშველებელსა! ქალი დაკარგულა ჩქარა ჩქარა! მიატანეთ ფეხს და ფეხს უშველეთ? თორემ დაიღუპაო, მისცვივდნენ მ....ს დაუწეს ჩხები, წერა როგორც დაჭირვე წადი თვალები დაითხარე იპოვო? თორემ ვაი შენს თავსაო? ზოგმა სთქულს ეს ავი სულია! ვინ იცის ქალს რა უკო თუბალ ჩაჩინო ქალია! თუ არ იპოვოს დაარჩეთ ჩააქუავეთ მაგისი ბრალია.

მ..ამ ამოითხრა რა, ვამობრუნდა უკანვე, წამოიუშანა ბიჭი საძებრად, ფიქრისაგან გაბრუებულსა არ ესმოდა მექესედ ქუაზე გადაჩესა, ანბობდა თავისთვის: ეს რა ცეცხლში ჩავარდი! რა ვქნა! სად ვიპოვნო? ბატონმა ი...ემ ხომ არ დამიმალა ხომ არ ნახა იმის სიღამაზე, მაგრამ ის საგანგებო დიდი კაცია არ იყადრებს ურიგო საქმეს, მაინც კი იმას უნდა ვკითხო? ახ! წამოიძახა უცებ ბებერმა ძლიერ არ მამაგონდა! მეიდნის პირის ბაჟლები, ოჭანა და საქუა, ორნივენი ამ ქალისათვის გაგიუებულნი იუვნენ, უთუოთ ერთ ერთმა მოიტაცა, ამასობაში კიდევ მივიღნენ ბაჟლებთან აქეთ იქიდამ დაურევეს დუქნის წინ დაკიდებულნი პატარა ზარები, და დაუმახეს: ბებერო როგორა ხარ, რა უეა ლ..და? სიტუაცია ესე ტევიასაებრ მოხუდა და თავიდამ ბოლმდის დაურებინა ქრუანტელმა, მერმე დაღონებული დადგა და ჭირობდა საიდამ დაეწეო თავისი საქმე, ბოლოს ისევ საქუამ ჭიროსა: ხომ სათქმელი არა ვაქუს რა.

მ..ამ ვაიხმო და ჭიროსა: ლ..და ხომ არ უნახამს?

იმან ჰასუხის მაგიერ გაიცინა, ლამაზი ღ..და? დაჭ-
კარგე როგორ არ მინახამს? დღეს მე ვნახე? აი აიმ
ოჭანამ ლაპარაკით წაიუშანა აიმ ქუჩისაკენ.

სედამ მაგ ავაზაკსა! წამოიძახა მ..ამ შეწუხებულმა,
მერე რა ქნეს?

მიუვთ საქუამ კიდევ მასხარაობით: მერე დ მერე
რა კითხვა უნდა! ლამაზი ქალი დ ბიჭი, განა არ იცი
რას იქმოდნენ.

მ..ა დარჩა თავ ზარ დაცემული, ოჭანაზე ეჭვი და-
ამტკიცა მაგრამ არ იცოდა რა უნდა ექნა, მერმე მლი-
გს გაბედა ჰყითხა ოჭანასა, თუ ქალი რა იქნაო.

ოჭანამ გაოცებულმა მალზე გაიცინა დ აქეთ იქით
მესობლებს მეღუქნებს გადასძახა დ მერმე წამოიძახა:
აი საკურველი! ქალაქში ვინ იცის ვინ მოიტაცა! ან
თითონ გაჲჭეიდა სადმე დ მე კი მკითხამს სად არისო,
როდის მამაბარე შე ქოფაკო ბებერო? შენისთანას ეგრე
უნდა, სმის გაცემას მიკრძალავდი, ცხონდა მამა მომ-
ტაცებლისა!

მ..ამ სვეწნა დაუწეო, დედა შეილობას ნუ დამიძა-
ლამ, ემ ქუჩაზე ერთათ ლაპარაკით ჩაგივლიათ დღესა
სად არის მითხარ.

ოჭანამ დაუუვირა: დაიკარგე იქითა და! სათავ?

მ..ა დარჩა თავ ზარ დაცემული, მალზე დაღონებუ-
ლი დაბრუნდა შინისაკენ სიბნელეში კვნესით..

მამას ქალისას ახლათ მინდვრიდამ მოსულს უან-
ბუს დაკარგვა ლ..ი, რომელსა მოევრზნო ცეცხლებრ, ამა-

ვესა დამესა დანიშნულიცა ლ...ი მოვიდა, სცხო თუ არა
თავ ზარ დაცემული მსწრაფლ მიიჭრა სასიძამროსთან,
იმ ღროსა, როდესაც მამა ლ...ი აღვრიშნებული მრის-
ხანებითა ჯავრობდა, უკიროდა მოყვლამ! დავარჩობ! ქო-
ფაკ მ..ა! რათ მოიშორა ქალი რათ დამიკარგა! გაჯა-
ვრებულმა აიტაცა ჯოხი საცემრად დ გაფქანა კარები-
საკენ, ამ ღროს კარებში მომავალს სასიძოს ემზერა დ
ჩაანტვრია ცხვირ ჰირი, რომლისაგან წადენილმა სიხ-
ლმა შეუღება ტანისამოსი დ იქაურობა.

კ..მა თითქო ახლათ მილისაგან გამორკვეულმა უცემ
დაიუვირა: ამას რას გეხდამ? შვილო სიმე ეპ-მენა ხარ?
ვაიმე! ვაიმე! ეს რა სიბრიუე მამივიდა! ჩქარა ბანბა
წევალი?

სასიძომ წელით მოიბანა ჰირი დ ცხვირის ნეპ-
ტონებში დაუცო ბანბა სისხლის შესაწევეტად, მერმე
მობრუნდა სასიდევროს კელზე აკოცა დ უთხრა კ..ს:
თქეცნ კაი მისალმება კცოდნიათ, ეს ცხვირი მე აღარ
გამამადგება!

მიუგო კ....მა, კარგი ნუ სჯავრობ? ვერ ვავიგე? ბო-
დიშს ვიხდი.

მიუგო სასიძომ დ თან ცხვირიდან წადენილს სი-
სხლს იწმენდდა, შენ ჩემთან ვერ გამართლები მსო-
ლოდ ცხვირ ჰირის დასამტვრევად როგორ დამიბარე-
განა ასე უნდა! ახლა ვნახამ როგორ ნამუსიანად ჩამა-
ბარებ ქალისა!

მიუგო სასიძამრომ: ჸო! აბა ეუ არის სამწუხარო?

მე მაგ საქმეშ გადამრია! ვეღარა გავიგერა, წავიდეთ
ქოფაკი მ..ა უნახოთ.

უთხრა გ..ა: კარგი იქნება! დ წავიდნენ, მივიდნენ
ნახეს მ..ას იმ მინუტს მისულს დაქანცულსა მისს და-
ფემულს, მიხურულნი დედაკაცნი ჰყითხავდნენ რა ჭენა!
ვერ ჰქოვა ლ..და!

მ..ნა ტირილით მიუგებდა, გენაცუალეთ ჩამქოლეთ?
ქალაქში იმტელ მტაცებელ სალხში დაიკარგოს რამე
განაღა იპოვება! რაღა ვქნა! იმის რეტიანს მამას რა
ჰასუხი გავსცე? იმ გასაქრობს ერთს მინუტს განვმორ-
დი არ ვიცი რა მიწის მცელი აუჩნდა!

ამ დროს სიბნელეში იმის თუალთა წარმოუდგა
კ..რი საშინელ სულთა მხუთავთა დ გ..ის კოჯორხეთის
ტარტაროზათა, იმან შიშით აკანკალებულმა უცებ დაი-
კივლა საშინელის სმითა შემიბრალეთ? ნუ მამკამთ?
ნუ დამღუპავთ? ჩემი ბრალი არ არის?

მაშ ვისი ბრალია! შე ქოფაკო? უთხრა კ..მა, შენ
ჩაგაბარე ლ..და! გვერდიდამ რათ მოიშორე? დაჲჲარტე
ძროხა ხომ არ იეო? მე ბევრს რასმე ვჲვიქრობ შენს
კუდიანობაზე. იქნება კიდეც გაჲჲიდე? დ ტშუილათა სტი-
როდე, ადექ ადექ? წამოდი ჰასუხი მამეცი, თორებ მაგ
შენის ზურგის ტუვიდამ ეშმაკების ქალამანს ამოვასხამ.

მ..ნა უმეტეს დაეცა დ დაიწეო ღრიალი, გაიმე?
ვაიმე? ვაიმე? მიშველეთ? გენაცვალეთ? ეშმაკების ქალა-
მანსაო? ან სად უნდა წამიუვანოთ? ვაიმე! შეილებო?
ვესალმებით! იმ გასაქრობმა ეს რა ცეცხლი მამკიდა!

ვაი ჩემს თავსა! ვაი ვაი! რატომ არ ვეკულები.

გ...ს შეებრალა უბედური ბებერი, მავრამ დაკარგვისთვის ვედარ ძეიმავრა თავი და უთხრა ტირილით, რაღა იქნება, ამაღამ დაანებოს თავი უცნობო ბებერის, ჩეცინ წავიდეთ დორ გვაქტს ტირილისა! ძლიერ დაიულია სასიმამრო. გაბრუნდენ შინა გათენებამდინ არ დასცხენენ ტირილისა და გლოვნისაგან; ვახმამზე გ...ს რამდენსაც სთხოვდენ არა რასა სჭმდა, შორს გზა გამოვლილი დაქანცელი მშერი, მწესარებისაგან შეჯრობილი იჯდა და ქვითქვათებდა ცოტმლ მფრივეველი:

მეორეს დღეს მ...ას მოუწოდეს და უთხრეს: შენ ჩეცნო დამღებაო? გვითხარ სად დაცვიკარე შკლი? გვითხარ სად ვეძებოთ?

მ..ამ შიშით აკანკალებულმა მიუგო: ზეთ მცა და მირს დედა მიწა! მე უბრალო ვარ, ნუ დამწერმთ უცილოს ცილითა! აი როგორ იქო? მე და ლ...ას გვუშანდენ სხეულა შორის თრი გარე მუშტარი ერთი დიდი კაცი, და მეორე ბაჟლები, ასე რომ, რაც გასასეიდი რძე და გარაქი დავვრჩებოდა ის ბაჟლები უიდულობდენ ცოტა იავად, გუშინ დილას ლ...და შევიდა ნაცნობის თავადის სახლში, მე სხეუ მუშტრებში გავერთვ მერმე წამოსულის დროს მივეღ, მეორეთ მესამეთაც ვჰყითხე მაგრამ ვეღარა გავიგერა.

უთხრა სასიმომ, ის თავადი ან ის ბაჟლები ლ...ას ცუდის თუალით ხომ არ უეურებდენ? რა საკურგვლია! უთხრა მ..ამ, ის უმაწვილი მალიან ალერსიანათ ექვე-

ოდა, მაგრამ თავადების წესი ისეთია! ავრეოვე ბაჟლებიც ხშირად შეჭრულებდნენ.

გ....მა შემოიკრა შუბლს კელი და დაიძახა: ამ სამში ერთ ერთია დამღუპელი ლ....სი. ას თუ შევიტეობ რომელია! მე მოვიქცევი ისე როგორც რიგია! მიუბრუნდა მ..ას მაინც იმ უმაწვილზე ან იმ ბაჟლებზე სოდ ეჭვი არა გაქტერა? ჩურა როგორმე კელაპარაკოთ გავსტესოთ.

მოუგო მ..ამ: იმათთან ეს ეჭვებია რომ, იმ უმაწვილთან კუშინ შევიდა და მერე აღარ ვიცი. ბაჟლებთანაც ეს არის რომ, ამ უმაწვილის სასლიდამ გამოსულს, ოჭანა ბაჟალი შეხვედრია და ქარისკენ ერთათ ლაპარაკით წასულან.

ორივემ ერთათ მისმახეს: ვინ გითხრათ რო კავრე იუ?

მოუგო მ..ამ: მეორე ბაჟალმა საქუამ მითხრა: აი ემ ბიჭთანა; ამითიც დასაჯერებელია რომ ის ოჭანა გიუდებოდა ლ....კს მე მემუქრებოდა რათ მიშლიო.

მაშინ ორივემ ნებზე იკბინეს, აა! იმ დიდყაცის სახლიდამ გამოსულა! შეხვედრია ბაჟალი ოჭანა და ქარისკენ წაუეგანია! ეგ არის ეგა! ეგ ოჭანა აფაზაკი! ჩურა ქალის მამტაცებელი. და ეჭვიც ცხადია კ....რი შევარდა საჩქაროთ აიტაცა ანგლიური თოვი და დაიწეო საშინელი უვირილი: გამიშვით! იმ ოჭანას ეხლავე გაუქრობ სიცოცხლესა! გადაიგდო მსარზე და გასწია გაბრაზებულმა, მაგრამ კ....მა როგორც იუ გამოართუა.

თოვი და უთხრა ჯერ წავიდეთ ქალისა გავიცოთ რამე; მერე სასამართლოს კანონი აქტს დასჯიან.

წაიუშანეს მინა, ჰყითხეს მეიდნის ბაულებს ოჭანას და საქუას, იმათ როგორც გავირებულთა უარი ჰუშტს, მაშინ გამოუცხადეს პოლიციის მოსამართლეს და დატუსადეს ოჭანა, სამს დღეს უკან საქუაც დაიჭირეს, რადგან გადასთქმა ვითამ და არ აჩერებნა რომ, ოჭანას ლადა ქუჩისაკენ წაეუშანოს, დასამტკიცებული ნიშანი ეჭვისა ვერა რა ჰქოვეს, საქუა გამოუშვეს ერთ თურტუე და ოჭანა დარჩა ტუსაღათ, მაგრამ ლა...ას მამა დედა სასიძო ჩაცვივდნენ დიდს მწუხარებასა, დღე უოველ სასამართლოს და აქეთ იქით მებნაში აღამებდნენ და ვერა გაიცესრა, ანბობდნენ: ოჭანა ავ კაცება ჰეგავს, ცუდი თუალები აქტს, თავის ნებით არა სტედება! ჟელს არ ავიღებთ, იმაზე უკვიდ ცხადია! იმტელი უნდა იტანჯოს, მანამ გატედეს და თავის ნებით გამოაჩინოს ლადა

8.

შემდგომ სამი თვესა, მიგიდნენ კიდევ ი.....თან დაღონებულთა მოახსენეს:

ბატონო გთხოვთ გვიბრძანოთ, იქნება იცოდეთ რამე ლა...სი, ერთი ვნახო უბედურმა მამამ მერე თუნდა მოჰქმდე.

ი....ეს შეებრალა მამა, ამასთანავე იფიქრა: როდე-

მდის დამალოს, უთხრა მამას: დამიმადლებთ ჩურუნებისთვის? იმათ ამ სიტუაციები დაჩქვილთა დაუწეს ვეღუბა ერთი მსოლოდ აჩურინოსთ.

მაშ კარგი: უთხრა ი...ემ, ნახუთ ელაპარაკეთ. დასწერა ბარათი ჭ მისცა სვიმონას, წაიღე მიეცი მამიდა ელისაბედსა, მისცეს ნება ჭ აჩურინოს ამათ ლ..და.

წაიუშანა სვიმონამ, კ....რი ჭ გ....ხ განვლო რამდენიმე ქუჩა, ბოლოს შეიუშანა დიდ გალავნიან სახლებმა, განატარა რამდენიმე, ოთახნი, შეიუშანა ზალიდამ პირ ჭ პირ ლ...ას ოთახში, სადაცა მფირფასის მებილით განმუშავებულ იქო ჭ მირს ხალები დაგებულ, კედლებზე ყვიდნენ მეფეთა ჭ სხუათა მფირფასნი კარტინები, ლ..და იჯდა მდივანზე დიდად მორთული, კელში ეჭირა წიგნი ჩუმათ კითხულობდა, რა მამა ჭ დანიშნული თვეი იხილა, შეჭკრთა ჭ ფერმა გადაჭკრა დიდ ხანს სმა ამოუღებლივ, იმათაც მდაბლათ თავი დაუკრეს მდივანზე მჯდომს ბრწეინვალე მნათობსა, ვერ მოიფიქრებდნენ ის ქალი ლ..და იქნებოდა ამისთანა დიდებასა ჭ პატივში ჭ განცხრომაში.

შემდგომ რვა მინუტის ჩუმათ დგომისა გამობრძნდა სხუა ოთახიდამ ელისაბედი რომელსა აგრეთვე დაუკრეს თავი.

უთხრა: აბა რომელია ლ...ას მამა?

მოახსენა კ....მა: მე ვარ ბატონო, ჭ წარსდგა წინა.

უთხრა: აი ნახე, ელაპარაკე შენს შვილსა ლ...ას. იმათ გაოცებულთა ლ....ზე მიაქციეს თუაღნი ჭ შეჭ-

ეურებდნენ ჯერეთ ვერა რას გამბედველნი.

ელისაბედმა უთხრა: ლ...ას: შკლო ი...ეს მოუწერია
მამა ნახეო და შენ იცი რასაც ელაპარაკებით, რა გავიდა
ელისაბედი, წამოდგა ლ...და მოეხვია მამას და უთ-
ხრა: ვინ იცის რა რიგათ სწუხარ.

მამა მოეხვია და ცრემლ მფრქვეველმა უთხრა: შკ-
ლო, შენთვის არ ვიწუხო ვიღა მეავს შენის მეტი! და-
ვანებუ თავი უველა გაოსრდა! რათ რა მინდა, სამი თვეა
ვიტანჯები, შინ ვეღარ შევსულფარ საცოდაობით, სა-
ბრალო დედა-მენი ქუცშავებში მოსთქამს დიდის გლო-
ვითა და მუანია ვეღარცეკი იცოცხლოს. საწეალი მ..ნა
კინადამ ჩავაჭავეთ! რომ შენ ვეღარ გიცოვეთ, ახლა
ივიქრე სამწუხარო იქნება თუ არა!

ლ...ამ ამ გურას მამის ლაპარაკზე ცრემლები გა-
დომეარა და წარმოსთქა, საბრალო დედა ჩემო, შენ
მებრალები მეტის მეტათა! შენი დაწურულებული გული
ვერ აიტანს მწუხარებასა! არ ვიცი გავათბობდა შენს
გაციებულს გულსა! და იმან მოიწმინდა ცრემლნი.

შემდგომ უთხრა მამას: ჩემთვის ნუღარ იწუხებთ
მამავ, მხედავთ როგორ დიდებაში ვარ?

ღმერთო ჩემო! უთხრა მამამ, შკილო, ვინ დაიდო
ჩემი ცოდო, ვინ შევიდა შენის უბედურის დედ მამის
დალატში, ვინ შევიცუალა დედ მამაზე ის გული რო-
მელიც ამ ჩემს გამხმარს გულს გამინედლებდა სოლმე,
ეხლა შენს დედ მამას ტირილისა და ვაების მეტი აღა-
რა გვაქუსრა! არც მროსები, არც სახლი, არც ვენასი

აღარც სხუა რამე ქონება სულ ფუჭია ჩურთვს უშენოდ. მე შენით მქონდა იმედი, მიტირებდი, დამშარსავდი! ახლა რაღა დამრჩა!

საკურველია მამავ! მავ სიტუშტბიდამ გამოდის მიკრძალამ გათხოებასა ქმარსა!

მე მაგას როგორ ვიტუპ. მიუგო მამამ, ქმარი დიახაც გინდა! მაგრამ, ისეთი ქმარი, რომელიც შენს მამის შვლობას შეჭვერის და მე გამომაღვება ჭირში და ლხინში. აი შენი ქმარი გ....ხი განა ვეღარა სცნობ? ჰველამ იცის ამაზე დანიშნული სარ და ამას ეკუთვნი.

უთხრა ლ...ამ: ჩემი საქმრო ვინც არის და ვისაც მიეუთვნი კარგათ ვიცნობ, თუ ჩემი მამა-შვლობა გინდა მაგისთანა ლაპარაკზე გელი აიღე.

გ...ის აქამომდე ჩუმათ მდგარი, გაოცებული ხედავდა ლ...ას შავს თუალებს, შავს სმირს წარბებს, მაღაზე თეთორ წითელ ლოუებს, სურათს ცხვირს ბატარა ტუჩებს, უკან გადაურილს თითქმის ფეხებაბედინ სხვილთა ნაწინავთა ოქროს ფერთა, მომარგალიტულის თასაკრავით და ჭრელის მოსახვევ მორთულობითა ისე აღუშაშებულს, რომლისა უებრო სიტურფეს საბრალო ასე გამიჯებინა, თითქო ლ...ას თავზე ცეცხლი გადაეუხარა, ჟორ უმართავდა თუალება, ბოლოს ასეთმა ქრუანტელმა დაურბინა მარღებტბში რომ, დაღვივებულის ცეცხლივით ენთებოდა და ადგილ საცნობელ იქო რო ლ...ას სიუშარული მოჭკრსხებოდა მოუნელებელ ცეცხლად, მერმე მალ დატანებულმა წარსდგა და მოახსენა ძლივს ენა გა-

მოგწებულმა შიშით კრძალვით, ღ... ან, განა რა და-
გიშავე ისეთი რო აკრე უწეალო სართ, ჩემშე არასა
ფიქრობთ. მე-კი იმედი მაქტე დ ვერცა ვინ წამართმე-
ვს შენს თავსა, ჩემის ჩემულებისამებრ კანონით მე
მეგუთვნი, მცაში ახტალ ამოგვები დ ქვეშენელში ჩაგ-
ვები.

უთხრა ღ... ამ: შენი ლაპარაკი საჭირო არ არის; მე მაგის ჰასუს არ მოგცემ ამის მეტსა რომ, კარგი
იქნება წახვიდე სხუა მონახო დ ჩემი სახელი ადარ
გაახსენო გაიგეთ?

დმერთო ჩემი! უთხრა მამამ: სულ ეჭელაში ვამო-
ცელილსარ, გაგციებია სიუშარეული დ გული ჩემისე, ე-
რთი ეს მითხარ ვინ გაგაორეულა! მშობლებზე და-
ნიშნულსე? ვინ მოგიტაცა? ან ვინ მოგიუშანა აქა იმ
ჩემა მკელელმა!

მამავ? უთხრა მშვიდ ღ... ამ, წინ დაიხედეთ სადა
სართ! რა გინდათ სთქმათ? მე არა-ვის მოუტაცნივარ,
მე თითონ მოვედი აქა დ ჰასუსის მამცემიც მე ვარ,
ნებას არ მოგცემთ აქ თქმულებურად იუვიროთ! ქმრის
შერთუა! მოწონება ჩემი საქმეა! შენ ვერ მეტევი, ეგ ნუ
გინდა ეს ჩემი თქმული მალით შეირთეო.

მამამ თავის ქნევით შეხედა გ.... ს გაბრაზებულმა
ღ.... ზე დ მერმე დამშვიდებით უთხრა: მკლო მაშ რა
ვქნა! არ წამოხვალ? სულთ მბრძოლს დედას არა ნა-
ხამ?

დედას ვნახამ თავის დროზე, მშვიდობით მამავ. მე

გირჩევ გული დაიმშვიდო, მე ისევ შვლი ვარ უშტოლა
კარგათ იქნება.

კ.....მა დ გენრისმა თავის ქნევით დ ბუტბუტითა
განვლეს გარე გაბრაზიანებულთა წარმოსთქულს ხედამ,
გასაფუტებელი როგორ გამოცვლილა სახითა თუ ხასი-
